ფიზკულტურელებო და სპორტსმენებო, აქტიური მონაწილეობა მიიღეთ კომუნისტურ შაბათობაში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ-ერთი საუკეთესო უედგეგით

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სსრ

1972 წ.
№ 74 (4584)
15 აპრილი, შაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

რესპუბლიკური კროსი „პრავდის“ პრიზზე საქართველოს სპორტღონისძიებათა კალენდრის მიხედვით შუგდიდში უნდა გამართულიყო, მაგრამ ბოლო მომენტში ტურნირის მასპინძლობა ბათუმის ფიზკულტურის კომიტეტს დაევალა. ტურნირი ხელვაჩაურის რაიონული სტადიონის მიდამოებში გაიმართა.

ვიდრე ასპარეზობის ტექნიკურ შედეგებს გაგაცნობდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ადგილობრივმა ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა იზრუნეს კროსის დისტანციების, სტარტისა და ფინიშის სათანადოდ მოწყობა-გაფორმებისთვის, სპორტსმენებს კი კარგი პირობები შეუქმნეს ასპარეზობისა და დასვენებისთვის.

რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან საასპარეზოდ 14 კოლექტივმა მოიყარა თავი. სამხრეთ ოსეთმა, თბილისმა (II გუნდი), ზუგდიდის, მახარაძისა და ახალციხის რაიონებმა სრული კოლექტივები ვერ გამოიყვანეს, რის გამოც საერთო გუნდურ ჩათვლაში შეუფასებელი დარჩნენ. გორმა, სამტრედიის, საშურის, თეთრი წყაროს, წითელი წყაროს რაიონებმა მძლეოსნები საერთოდ არ გამოგზავნეს.

სულ ბრძოლაში 144 სპორტსმენი ჩაება, სათანრიგო ნორმატივები კი 54 მძლეოსანმა შეასრულა.

მონაწილენი სიძლიერის მიხედვით თავიდანვე ორ ჯგუფად დაიყვნენ. აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, თბილისის (ორივე), ქუთაისისა და რუსთავის კოლექტივებს პირველ ჯგუფში უნდა ეასპარეზათ (თითო�ულ კოლექტივს 12-12 მძლეოსანი გამოჰყავდა). დანარჩენი რაიონები მეორე ჯგუფში გაერთიანდნენ. მათთვის გუნდების შემადგენლობა 10-10 სპორტსმენით განისაზღვრებოდა.

თბილისის პირველ ნაკრებს საოანადო მეტოქეობა ვერავინ გაუწია. ამ გუნდის წარმომადგენლებმა ექვსიდან სამი დისტანცია მოიგეს, დანარჩენ მანძილებზე II ადგილები მოიპოვეს, საბოლოოდ 9 საჯარიმო ქულა დაუგროვდათ და პირველობა დაისაკუთრეს. ბრძოლა ფაქტიურად II ადგილისთვის გაჩაღდა. ხან ქუთაისის ნაკრები იყო წინ, ხან რუსთავისა. ბოლოს, 8000 მეტრზე რბენაში, მეტალურგოა ქალაქის გუნდს ვ. ნესტერენკომ მეტად საჭირო გამარჯვება მოუტანა. რუსთავის მძლეოსნებმა 23 ქულით II ადგილი დაისაკუთრეს, ქუთაისის სპორტსმენებმა 25 საჯარიმო ქულით — III.

რაკი სიტყვამ მოიტანა, აქვე აღვნიშნოთ, რომ 34 წლის ნესტერენკომ ამ დისტანციაზე საქართველოს კროსების ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი (23.54,8) აჩვენა და უახლოეს მეტოქეს, თბილისის პირველი გუნდის წევრს, 21 წლის ა. მიქოიანს (25.07,0) წუთზე მეტი მოუგო. III ადგილზეა აჭარის გუნდის წევრი გ. ბარკანი — 25.31,8.

თბილისის კროსში 3000 მეტრზე რბენაში გამარჯვებულ ი. არჯევანიძეს (თბილისი I) ბადალი არც აქ ჰყავდა. მან ინიციატივა თავიდანვე ხელთ იგდო, მაგრამ მეტოქეებმა მხარი ვერ აუბეს და დაწინაურებული გამარჯვებისთვის ეულად იბრძოდა. მიუხედავად ამისა, 35 კაცში მხოლოდ არჯევანიძემ დაამთავრა ტრასა II თანრიგის შედეგით.

კარგი შედეგები აჩვენეს 1000 მეტრზე მორბენალმა გოგონებმაც. პირველობისთვის მებრძოლი 34 სპორტსმენიდან შვიდმა კროსებისთვის უმაღლესი — II თანრიგის ნორმატივი შეასრულა, 15 მონაწილემ კი III თანრიგისა.

როგორც მუდამ, ყველაზე ნაკლები მონაწილე 2000 მეტრზე მორბენალ ქალთა შეჯიბრებას ჰყავდა. არც შედეგები იყო სახარბიელო: 13 სპორტსმენიდან III თანრიგის ნორმატივს მხოლოდ პრიზიორები შესწვდნენ.

უფრო მჭიდრო მაჩვენებლები ჰქონდათ 1500 მეტრზე მოსპარეზე ქალიშვილებს. აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია ვ. ბესაევას (სამხრეთ ოსეთი) თავდადებული ბრძოლა. ამ სპორტსმენმა დაწინაურება შუა დისტანციის მერე სცადა. ტ. ოსიპოვა (თბილისი I), წალკელი ს. სტეფანიანი და მასპინძელთა გუნდის წევრი ვ. გოლობოროდკო მას ერთხანს გაჰყვნენ, მაგრამ ფინიშთან მაინც საგრძნობლად ჩამორჩნენ. ამ გარბენში მეტს ვეოდით საქართველოს მძლეოსანთა ნაკრების წევრის ლ. ჭარბაძისგან (თბილისი II), რომელმაც მისთვის შეუფერებელი XXI ადგილი დაიკავა.

მეორე ჯგუფის გუნდებიდან ქების ღირსია ბორჯომის რაიონის კოლექტივი, რომელმაც III ადგილი დაიკავა. მართალია, მას ბოგდანოვკისა და წალკის რაიონების გუნდებმა აჯობეს, მაგრამ ორივე ზემოაღნიშნულს კროსებში მონაწილეობის მეტი გამოცდილება აქვს, ბორჯომელები კი წლეულს პირველად გამოვიდნენ ყველა დისტანციაზე საბრძოლველად და საპრიზო ადგილიც ამის წყალობით მოიპოვეს.

რესპუბლიკური ტურნირის შემდეგ შედგა საქართველოს ნაკრები, რომელიც 23 აპრილს კიშინიოვში, „პრავდის“ პრიზის საკავშირო გათამაშების ფინალში გამოვა.

ბ. ათაბეგოვი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

(ჩვენი სპეც. კორ.).

ბათუმი.

პრიზიორთა ტექნიკური შედეგები

გოგონები. 100 მ. ლ. მაკაროვა (ქუთაისი) — 3.18,2, ი. ლიგა — 3.19,2, ნ. სუდაკოვსკაია (ორივე — თბილისი I) — 3.19,4. **ქალიშვილები. 1500 მ.** ვ. ბესაევა — 5.30,6, ტ. ოსიპოვა — 5.35,2, ვ. გოლობოროდკო — 5.36,4. **ქალები. 2000 მ.** მ. მეტრეველი (თბილისი I) — 7.40,4, რ. შამოევა (თბილისი II) — 7.45,6, ნ. ნერგაძე (ქუთაისი) — 7.54,0. **ბაბუკები. 8000 მ.** ი. არჯევანიძე — 9.08,8, ს. ხაჩატურიანი (ახალციხე) — 9.25,8, ა. ბელენკო (თბილისი II) — 9.26,0. **იუნიორები. 5000 მ.** ვ. ხარაზიშვილი—16.10,8, ვ. შატკო (ორივე — თბილისი I) — 16.15,0, ს. მეშანიკოვი (თბილისი II) — 16.44,0.

* * *

სურათებზე: 1500 მეტრზე მორბენალი ქალიშვილები სტარტზე; ბაბუკები ბრძოლაში ჩაებნენ.

ა. ჩანტლაძის ფოტოები.

18 აპრილს

თბილისში, მსახიობის სახლის (ციროვის ქ. № 13) საკონცერტო დარბაზში შედგება „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ ახალი კომპლექსის საკითხებისადმი მიძღვნილი ფიზკულტურის რესპუბლიკური აქტივის კრება.

დღის წესრიგი:

„რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების ამოცანები ახალი კომპლექსის შემოღებასთან დაკავშირებით“ (მომხსენებელი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე გ. სიხარულიძე).

დასაწყისი 11 ს.

სურათზე: დ. შანიძე. მ. ზარგარიანის ფოტო.

ახლა—ძიუნჰენი

ჭეშმარიტად დიდებულად აღნიშნეს კოსმონავტიკის დღე — 12 აპრილი — ესტონეთის დედაქალაქ ტალინში მოსპარეზე ძალოსნებმა. რაც ყველაზე მეტად სასიხარულოა, მსოფლიო რეკორდი დაამყარა 34 წლის თბილისელმა დიტო შანიძემ.

აი, რას წერენ საკვლევლის სპეციალური კორესპონდენტები ი. ხრომოვი და მ. იშოვი: „რეკორდს, რომელიც დღეს ტალინის „კალევის“ სპორტის სახლის ფიცარნაგზე იშვა, უთუოდ აღნიშნავენ მემატიანენი, ვინაიდან 34 წლის თბილისელმა დ. შანიძემ ქვემსუბუქი წონის ძალოსანთა შორის პირველად გადააბიჯა „მაგიურ“ 400-კილოგრამიან ზღვარს. მან მეოთხედ მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი ახალი მსოფლიო რეკორდით სამჭიდში — 402,5 კგ (125+122,5+155). აქვე უნდა დავსძინოთ, რომ შანიძემ გაალუმჯობესა ევროპის რეკორდი ატაცცა და ივი 122,5 კგ-ზდე აიყვანა.

382,5 კგ-ით ვერცხლის მედალი მოიპოვა 37 წლის ვოროშილოვგრადელმა ნ. ვარავამ, რომელიც უკვე ათი წელია ქვეყნის ჩემპიონატის საპატიო კვარცხლბეკზე ადის. ბრინჯაოს მედალი წილად ხვდა რიგელ ა. დინიკოვს — 370 კგ.

შანიძემ ოქროს კიდევ ორი მცირე მედალი მოიხვეჭა — ატაცსა და აკვრაში, ვარავამ კი აჭიმვაში—130 კგ.

მძიმეწონოსან ძალოსანთა ზერეკორდების ჰიპნოზიც კი ხელს ვერ შეგვიშლის თბილისელი მუშის სპორტული გმირობის დაფასებაში. ივი ფიცარნაგზე ისე იქცეოდა, როგორც ჩვეულებრივ ცხოვრებაში იქცევა: აუჩქარებელი იყო, თავს იკავებდა ემოციების გამოვლენისგან. ამასთან, მეტისმეტად თვითდაჯერებულიც ჩანდა. სწორედ ამიტომ, მეტოქეები სერიოზულად უნდა მოეკიდონ შანიძის ნათქვამს, გამოსვლის შემდეგ: „ვფიქრობ, მიუნჰენის ოლიმპიადაში ოქროს მედალი 407,5 კილოგრამს აიწონის. სწორედ ამ შედეგისთვის ვემზადები“.

(დასასრული მე-2 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა — მიუნჰენი

დასასრული

ქვემსუბუქი წონა დიდი ხნის მანძილზე „ავარიულად“ ითვლებოდა ჩვენს ძალოსნობაში. როცა 29 წლის დიტო შანიძემ, რომელიც უპირსპექტივო სპორტსმენად მიაჩნდათ, პირველად შედგა ფეხი დიდ ფიცარნაგზე, ცოტა ვინმეს თუ სჯეროდა, რომ იგი ტოლს არ დაუდებდა იაპონელ ძალოსანთა თაობას ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის იოსინობუ მიიაკეს მეოცურობით. მაგრამ დღეს დიტომ არა მარტო 2,5 კილოგრამით გაუმჯობესა იაპონელთა აღიარებული ლიდერის რეკორდი, არამედ საბჭოთა ძალოსნებს კვლავ დაუბრუნა 15 წლის წინათ დაკარგული დიდება სამჭიდში. შეიძლება ითქვას, რომ ძალოსნის ასაკს მისი შედეგები განსაზღვრავს.

როცა ტალინის ფიცარნაგზე ქვემსუბუქი წონის ათლეტთა შედეგებს ვეცნობით, არ შეიძლება თვალში არ მოგვხვდეს, რომ პრიზიორებში ვერ ვხედავთ დონეცკელ ი. გოლუბცოვს, სამჭიდში ამ ტურნირამდე ქვეყნის რეკორდის მფლობელს. ამ სიაში არც სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი, ტაშკენტელი ე. ქარიმოვია. სწორედ შანიძესთან ბათი ჭიდილის ხილვა სურდათ ძალოსნობის მცოდნეებსა და დამფასებლებს, მაგრამ ოლიმპიურმა ჰორიზონტებმა, რაც ტალინის ფიცარნაგიდან იმზირება, ზოგიერთ სპორტსმენს ხელი შეუშალა თავისი ძალის საღად შეფასებაში. გოლუბცოვმაც და ქარიმოვმაც აჭიმვის შემდეგ პირდაპირ მაყურებლებში ვადაინაცვლეს, რადგან პირველივე შეკვეთილი წონის დაძლევა ვერ შეძლეს. და საერთოდ, თუ კრიტიკულად მივუდგებით, აჭიმვაში საკმაოდ ბევრი ხარვეზი შეიმჩნეოდა. 48 მისვლიდან ათლეტებმა მხოლოდ 20, ესე იგი ნახევარზე ნაკლები გამოიყენეს. ამან უნდა დააფიქროს ქვეყნის ჩემპიონატის მონაწილე ძალოსანთა მწვრთნელები“.

გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ სპეციალური კორესპონდენტი საკავშირო ჩემპიონატზე, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი დ. ივანოვი სალეგავებს არ იშურებს დიტოს შესაქებად. „ყველაზე გააზრებულად იბრძოდა 34 წლის შანიძე, მას წარსულშიც არაერთხელ დასმარებია გამოცდილება და ამჯერადაც ასე მოხდა...

... ატაცში საერთოდ უფერულ ფონზე განსაკუთრებით გამოირჩეოდა შანიძის შესანიშნავი სტილით შესრულებული გამოსვლა. მან თავზევით უბრალოოსნივით აიტაცა საწყისი წონა — 115 კგ, ისე, რომ ჩაჯდომი ვერც-კი მოასწრო. მერე შანიძემ აკადემიური სიზუსტით აჩვენა 120 კგ და ჩასათვლელ ცდაზე 122,5 კგ-ც, რაც 2 კგ-ით მეტია ევროპის რეკორდზე. ასეთმა დამაჯერებელმა ატაცმა შანიძე I ადგილზე გაიყვანა: ორი მოძრაობის შემდეგ მას 247,5 კგ ჰქონდა. ასეთი წარმატებით „განთიადის“ აღსაწრდელს არასდროს უასპარეზია. ატაცმა მისგან სამჭიდში რეკორდს მოელოდნენ. მოგაგონებთ, რომ სამი წლის წინათ იაპონელმა იოსინობუ მიიაკემ 400 კგ დაგროვა. შარშან ეს რეკორდი გიმეორა გოლუბცოვმა და აი, ამ მიღწევის დამსობა მოინდომა შანიძემ. მიიაკეს რეკორდი რომ მოეხსნა, დიტოს 155 კგ უნდა აეკრა.

სჯეროდა წარმატებისა? მერე როგორ! ატაცის შემდეგ შანიძესთან ავტოგრაფების ერთ-ერთი მოყვარული ბივიდა და შანიძემ ჩაწერა ციცერი „402,5“, როგორც იტყვიან, ავანსად.

იგი შესანიშნავად გრძნობდა თავს და აკვრა დაიწყო არა 145 კგ-დან, როგორც დაგვპირდა, არამედ 147,5-დან. მკვრდზე ძალიან იოლად აიტანა ნტანგა. საპოლოოდ მივიღეთ შესანიშნავი ჯამი — 395 კგ. წარმატებისთვის ესეც საკმარისი იყო, მაგრამ დიტო ამაზე რიდი გაჩერდა: მან შესანიშნავად აჭრა 155 კგ და სამჭიდში მსოფლიო რეკორდსმენი გახდა.

ბედნიერ დიტოს ყველა მწვრთნელი გამარჯვებას ულოცავდა, იქვე გვერდით კი იდგა არანაკლებ ბედნიერი ბისი მასწავლებელი — საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი შოთა წერეთელი“.

... როცა იოსინობუ მიიაკემ თავისი ბრწყინვალე მსოფლიო რეკორდი დაამყარა, ჩვენ დიტო შანიძეს შევხვდით და ვთხოვეთ თავისი აზრი გაეზიარებინა ამ მიღწევისაზე. დიტომ გვიპასუხა: მსურდა პირველი გავმხდარიყავი „400-ანთა კლუბის“ წევრი, მაგრამ ეგ არაფერი, ფარ-ხმალს არ დავყრი, კვლავ განვაგრძობ ბრძოლას იაპონელის რეკორდთან და აღრე თუ გვიან ოცნებას ავისრულებ — მსოფლიო რეკორდსმენი გავხდებიო.

სწორედ ეს სიტყვები მოგვაგონა, როცა ტალინიდან სასიხარულო ცნობა მივიღეთ.

გაავლის ცოტა დრო და იქნებ მიუნჰენიდან მივიღოთ ცნობა, რომელიც გვაუწყებს, დ. შანიძე ოლიმპიური ჩემპიონია ძალოსნობაშიო. საამისოდ კი სრული საფუძველი გვაქვს.

ა. ცეხანელი.

რეკორდები მსოფლიოსიც და... სამწუხაროც

ტალინი, 13 აპრილი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ძალოსანთა აქ მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატში მსუბუქი წონის ათლეტთა შორის გაიმარჯვა 32 წლის ლვოველმა პ. კოროლმა, რომელმაც პირველად მოიგო სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი. ამასთან მან 447,5 კგ (147,5+125+175) დააგროვა, რაც საკავშირო რეკორდია. მისი მაჩვენებელი აკვრაში (175 კგ) მსოფლიო რეკორდია. II ადგილზე გავიდა სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონი, მოსკოველი მ. კირჟინოვი, რომელიც კოროლს 2,5 კგ-ით ჩამორჩა. კირჟინოვმა საკავშირო რეკორდი დამყარა ატაცში — 135 კგ. ბრინჯაო წილად ხვდა ალმაათელ ვ. დრეჭსლერს — 422,5. მანვე მეოთხე, დამატებით ცდაზე 154,5 კგ აჭიმა და მსოფლიო რეკორდი გაუმჯობესა.

სულ რაღაც 50 გრამმა გადაწყვიტა პირველობის ბედი ქვესაუალო წონის ძალოსანთა ასპარეზობაში. სწორედ ამდენით მჩატე გამოდგა მოსკოველი ვ. კურენცოვი ალმაათელ ა. კოლოდკოვზე, რამაც მას სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მერვე მედალი მოუტანა. ორივე ათლეტმა ერთნაირი შედეგი — 477.5 კგ — აჩვენა. ბრინჯაოს პრიზიორი გახდა ვოროშილოვგრადელი ვ. მიხაილოვი — 470 კგ. აჭიმვაში ოქროს ჯილდო მოიხვეჭა კოლოდკოვმა (165 კგ), ატაცში — მიხაილოვმა (135), აკვრაში — კურენცოვმა (182,5).

მსოფლიო ჩემპიონმა, დონეცკელმა ბ. პავლოვმა პირველად მოიგო სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი საშუალო წონის ძალოსანთა შორის. ეს ამბავი მან თავისებურად აღნიშნა — მსოფლიო რეკორდი დაამყარა სამჭიდში — 515 კგ (170+150+195). ეს შედეგი 2,5 კგ-ით სჯობს მისსავე წინანდელ მიღწევას. ვერცხლის მედალი მოიხვეჭა სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონმა, რიგელმა გ. ივანჩენკომ — 510 კგ. მესამე პრიზიორია 24 წლის მოსკოველი ვ. რიქენკოვი — 507,5 კგ. ამ საღამოს ტალინის ფიცარნაგზე კიდევ ერთი მსოფლიო რეკორდი იშვა: მოსკოველმა ი. კალაჩნიკოვმა აჭიმაში 177,5 კგ აჩვენა — ნახევარი კილოგრამით დაამეტა პოლონელი ჩ. ბატერკას წინანდელი რეკორდი.

დამყარდა სხვა რეკორდიც, ოღონდ სამწუხარო: სტარტი 17 ძალოსანმა აიღო და ფინიშს მათგან მხოლოდ რვამ მიაღწია.

ადგილები გაცვალეს

ლენინგრადი, 14 აპრილი. კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტურის მეორე დღეს დამარცხდა ერთ-ერთი ლიდერი — ვილნიუსის „კიბირკშტისი“. მას ანგარიშით 63:61 მოუგო მოსკოვის „სპარტაკმა“, რომელიც სტურნირო ცხრილში IX ადგილზე იყო.

მეტოქის წარუმატებლობით კარგად ისარგებლა კიევის „დინამომ“, რომელიც, ვილნიუსელთა მსგავსად, ბრინჯაოს მედლების პრეტენდენტია: უკრაინელებმა სძლიეს მოსკოვის „სერპ ი მოლოტს“ (74:69) და ერთი ქულით დაწინაურდნენ („დინამოს“ გაუხდა 12 ქულა, „კიბირკშტისს“ კი 11 დარჩა).

მორიგ წარმატებას მიაღწიეს მოგავარმა ლიდერებმაც: რიგის ტტტ-მ დაამარცხა კიშინიოვის „ინჟდორსტროი“ (69:55), ლენინგრადის „სპარტაკმა“ — ალმა-ათის „ბურევესტნიკი“ (82:60).

ამ დღეს გაიმართა კიდევ ორი ნატჩი: „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „პოლიტექნიკი“ (კუნასი) 82:55, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „დინამო“ (მოსკოვი) 65:47.

გთავაზობთ გუშინ ჩატარებული ზოგიერთი შეხვედრის შედეგს: „ბურევესტნიკი“ — „ურალმაში“ 74:67, „პოლიტექნიკა“ — „დინამო“ (მოსკოვი) 64:57, „სერპ ი მოლოტი“ — „ინჟდორსტროი“ 72:65.

რესპუბლიკურ ფედერაციაში

შედგა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმისა და სპორტტექნიკური კომისიის ერთობლივი სხდომა. დღის წესრიგში იდგა რესპუბლიკურ გათამაშებებში დისციპლინის დარღვევათა საკითხი.

მინდორზე ჩადენილი უდიერი საქციელისთვის 5 მატჩით აეკრძალა თამაში სამტრედიის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელს ა. მესხიჩენკოს, 4 თამაშით — ვ. შმატკოვს (თელავის „კახეთი“), 3 თამაშით — თ. ხვედელიძეს (ბორჯომის „განთიადი“), 2 თამაშით — ვ. გოჩაშვილს (გორის რაიონის „ეკრთული“).

მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის 5 მატჩში მონაწილეობა აეკრძალა ვ. კობახიძეს (თელავის „კახეთი“), 3-3 მატჩში — ნ. ტყებუჩავას (თბილისის „სინათლე“), თ. ტეტელაშვილს (თბილისის „ლოკომოტივი“).

ვანის „სულორის“ წევრმა ა. საკანდელიძემ მიიღო 2 გაფრთხილება. ამიტომ იგი გააცდენს ერთ შეხვედრას.

დისციპლინის უხეში დარღვევის ფაქტები მოხდა საქართველოს ბოზარდ ფეხბურთელთა ჩემპიონატშიც. მინდორზე გამართული ჩხუბისთვის 8-8 მატჩით დისკვალიფიკაცია მიეცათ ა. ხამალიზნს (სოხუმის „დინამო“) და ვ. ჩოლობარგიას (მახარაძის „მერცხალი“). 5 თამაშით დისკვალიფიცირებულია ლანჩხუთის „გურიის“ ფეხბურთელი გ. ორაგველიძე. მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის გათამაშების დამთავრებამდე ვერ ითამაშებს თბილისის მწვრთნელთა სკოლის ფეხბურთელი ვ. ბაკშევი.

ამას გარდა, ზემოჩამოთვლილი ფეხბურთელები პირობით დისკვალიფიცირებული არიან წლის ბოლომდე.

სსრ კავშირის ჩემპიონატი

I ლიგა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა	14 აპრილისთვის					
	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ჩერნომორეცი“	2	2	0	0	7—1	4
„სტროიტელი“	2	2	0	0	3—1	4
„ფახთაქორი“	2	1	1	0	2—0	3
„კრივბასი“	2	1	1	0	3—2	3
„შახტიორი“ (დონეცკი)	2	1	1	0	2—1	3
„ტორპედო“	1	1	0	0	2—0	2
„დინამო“	2	1	0	1	2—2	2
„ალგა“	2	0	2	0	2—2	2
„კრ. სოვეტოვი“	2	0	2	0	1—1	2
„მეტალისტი“	2	0	2	0	1—1	2
„შინიკი“	2	1	0	1	1—1	2
„ნისტრუ“	2	1	0	1	1—1	2
„შახტიორი“ (ყარაგანდა)	2	0	2	0	1—1	2
„პამირი“	2	0	2	0	0—0	2
„მეტალურგი“	2	0	1	1	0—1	1
„ზვეზდა“	2	0	1	1	0—1	1
„ავტომობილისტი“ (ორჯონიკიძე)	2	0	1	1	1—3	1
„ავტომობილისტი“ (ნალჩიკი)	1	0	0	1	0—1	0
„ურალმაში“	2	0	0	2	1—4	0
„ტექსტილშჩიკი“	2	0	0	2	1—7	0

სტატისტიკური „მატჩი“. შარშან-წლეულს

სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატში ნათამაშევია ორი ტური. ბრძოლაში ჩაება უმაღლესი ლიგის ყველა გუნდი უკლებლივ და თუმცა გათამაშების კალენდარში ასე ნაადრეე სტარტზეე მოხდა ტრადიციული ცვლილებანი, სატურნირო ცხრილში თანდათან ივსება ცარიელი უჯრები, არიან ლიდერები, ბომბარდირები, სწორდება სტუმარ-მასპინძლობის ანგარიშები...

სტატისტიკოსები ათასგვარ საინტერესო ციფრს ეძებენ, პოულობენ, ადარებენ ერთმანეთს, გამოაქვთ დასკვნები. მე აზრად მომივიდა მომეწყო თავისებური „მატჩი“: შარშან — წლეულს.

ამჟამად მიმდინარე ჩემპიონატში სადღეისოდ ნათამაშევია 15 მატჩი. ავიღოთ შარშანდელი პირველი 15 მატჩიც და ზოგიერთი პარალელი გავაკეთოთ მათს შორის (გავახსენებთ, რომ შარშანაც და წლეულსაც ჩემპიონატი დაიწყო ერთსადაიმავე დღეს — 4 აპრილს).

შარშან 15 მატჩში გატანილი იქნა 29 გოლი, 19 მასპინძელთა ანგარიშზე იყო, 10 — სტუმრებისა. ამ გოლებმა პირველებს მოუტანეს 18 ქულა, მეორეებს — 12. მასპინძლებმა ოთხ მატჩში ვერ შეძლეს ბურთის გატანა, სტუმრებმა — ხუთში.

ნულოვანი ფრეთი დამთავრდა 1 თამაში, დიდი სხვაობითაც—1.

ყველაზე პოპულარული იყო ანგარიშები 1:1 (5) და 1:0 (5).

დაინიშნა 4 პენალტი, ამასთან, თანაბრად: ორი 11-მეტრიანი შეასრულეს მასპინძლებმა, ორიც — სტუმრებმა. 3 ბურთი გავიდა, ერთი — ძელს მოხვდა.

ყველაზე უხვგოლიანი იყო მატჩები, სადაც გავიდა 4 გოლი (3 ასეთი შეხვედრა).

ფლეულს 15 მატჩში ფიქსირებულია 30 გოლი, აქედან, 16 მასპინძლებისაა, 14 — სტუმრებისა. ქულებიც ზუსტად ასეთივე ციფრებით განაწილდა.

მასპინძლებმაც და სტუმრებმაც 6-6 მატჩში ვერ შეძლეს მოწინააღმდეგის კარის აღება.

ნულოვანი ფრეთი დამთავრდა 2 მატჩი, დიდი სხვაობით — 1. პოპულარულია ანგარიში 1:0 (6 მატჩი).

დაინიშნა 5 პენალტი: 4 სტუმრების კარში, 1 — მასპინძლებისაში. 2 დარტყმა აცდა კარს.

ყველაზე უხვგოლიანი გამოდგა მატჩი, რომელიც დამთავრდა ანგარიშით 3:3.

შარშან ამ დროისთვის მინდვრიდან არც ერთი მოთამაშე არ იყო გაძევებული. წლეულს დისციპლინის დამრღვევთათვის ასალი სანქციებია. კიეველ ა. პუზაჩს და ვოროშილოვგრადელ ვ. აბრამოვს თითო გაფრთხილება აქვთ. კიდევ ერთი ასეთი გაფრთხილება და ისინი გააცდენენ მორიგ კალენდარულ მატჩს.

ს. ფელია.

უმეტრეველოდ

სსრ კავშირის უძლიერეს ჩოგბურთელთა ტრადიციულ საგაზაფხულო ტურნირში (ტამკენტი) ქალთა ერთეულების თანრიგში ფინალისტები უკვე გამოვლინდნენ. ერთეულთა შეჯიბრებების პირველი ეტაპი (16 ვაჟი და 16 ქალი ორ-ორ ქვეჯგუფში წრეობრივი სისტემით თამაშობს).

ქალების I ქვეჯგუფში ფინალის საგზური მოიპოვა ე. ბირიუკოვამ (ბაკო), რომელმაც ფინალის გზაზე დაამარცხა ძლიერი მეტოქეები მ. ჩუვირინა, ა. დმიტრიევა (ორივე — მოსკოვი), მ. კროშინა (ალმა-ათა) და სხვ. II ქვეჯგუფში უძლიერესი იყო ო. მოროზოვა (მოსკოვი).

შეჯიბრებაში საპატიო მიზეზით არ მონაწილეობს სსრ კავშირის პირველი ჩოგანი ა. მეტრეველი, რამაც ერთგვარად შეამცირა ინტერესი ვაჟთა პაექრობისადმი.

ქვეჯგუფებში ვაჟთა ერთეულების შეჯიბრება ჯერ არ დამთავრებულა. I ქვეჯგუფში ჯერჯერობით სამი ლიდერია: თ. ლეონუსი (ტალინი), ა. ვოლკოვი და ნ. ტარპიშჩევი (ორივე — მოსკოვი). II ქვეჯგუფში დაწინაურდნენ ვ. კოროტკოვი და ვ. ეგოროვი (ორივე — მოსკოვი). ალსანშნავია, რომ კოროტკოვმა დაამარცხა თავისი ძველი მეტოქე, თბილისელი თ. კაკულია — 1:6, 6:3, 6:4, 6:4.

ვაჟთა წყვილების ფინალში ლეონუსისა და ს. ლიხაჩოვის (ბაკო) მეტოქეები იქნებიან ვოლკოვი და ტარპიშჩევი. პირველებმა ნახევარფინალში დამარცხეს კაკულია და როსტოველი ე. ბობოედოვი (6:3, 6:0, 3:6, 11:9), მეორეებმა — ეგოროვი და კოროტკოვი (0:6, 11:9, 6:4, 3,6, 7:5).

ქალთა წყვილების ფინალში ბაკელ გაიკაფეს ბირიუკოვა — კროშინას და მოროზოვა — ს. იანსონეს (რიგა). დუეტებმა. ნახევარფინალში ბირიუკოვამ და კროშინამ სძლიეს დმიტრიევასა და ჩუვირინას (6:1, 6:4), მოროზოვამ და იანსონემ კი ა. ერემეევასა (ლენინგრადი) და ე. ფრანატუროვას (მოსკოვი) — 6:3, 6:0.

ფინალის საგზური მოპოვებულია

20 ივლისს ვილნიუსში დაიწყება სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა მოჭადრაკეების გუნდური პირველობა (თითოეულ გუნდში — 4 ვაჟი, ითთო ჭაბუკი, ქალი და გოგონა). ამ თვალსაჩინო შეჯიბრების მონაწილეთა გამოსავლინებლად ამას წინათ ლენინგრადში, დონის როსტოვში, ნოვოსიბირსკსა და ბრიანსკში ნახევარფინალური ტურნირები ჩატარდა. თითოეული ნახევარფინალიდან ფინალის საგზურები მხოლოდ I და II ადგილებზე გასულ გუნდებს ეძლეოდათ.

დონის როსტოვში ნახევარფინალის მონაწილე შვიდი გუნდიდან ფინალის საგზურები დაისაკუთრეს კიევისა (I ადგილი) და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქების (II ადგილი) გუნდებმა. ამიერკავკასიელებმა სძლიეს იმიერკარპატებისა და ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქების მოჭადრაკეებს (ორივეს ერთნაირი ანგარიშით — 5:2) და სამხრეთის ჯგუფის ჯარების გუნდს (6:1), ყაზით (3,5:3,5) დაამთავრეს შეხვედრები კიევის სამხედრო ოლქის, ბაქოს ოლქის საჰაერო დაცვისა და გერმანიაში მყოფი საბჭოთა ჯარების ჯგუფის გუნდებთან.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის გუნდის წევრებმა ასე ითამაშეს: ლიდსტატი ე. გუფელდი — 5 ქულა 6-დან, ოსტატი ა. იზვოზჩიკოვი — 3, ოსტატობის კანდიდატები ლ. ბერნოფიცკი — 4, გ. მარკოსიანი — 3,5, მ. ჭიპაშვილი — 2,5, საერთაშორისო ოსტატი ა. ჩაიკოვსკაია — 4, ოსტატობის კანდიდატი ნ. ფურმანი — 4,5.

ფინალური ტურნირის დაწყებამდე, ივნისში, ბათუმში მოეწყობა სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა მოჭადრაკეების პირადი ჩემპიონატი, ოქტომბერში თბილისში გაიმართება დიდი საერთაშორისო ტურნირი — მეგობრული არმიების მოჭადრაკეთა პირადი პირველობა.

თ. ნინოშვილი.

ჩაქვინიანი

ცხინვალი

ცხინვალის რაიონის ჩემპიონები ქართულ ჭიდაობაში გახდნენ: ო. მიდოდაშვილი (ერედვი), თ. ტურიევი (სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი), ნ. ქრისტესიაშვილი, ტ. მიდოდაშვილი, გ. მაისურაძე (ყველა — ერედვი), შ. ტატუნაშვილი (ტექნიკუმი), ბ. ბერუაშვილი (ერედვი), ვ. ტატიევი (ტექნიკუმი).

ვ. ფელქოევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი წრის გვირგვინი

პრაღა, 13 აპრილი. ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის ჰოკეისტთა ნაკრები გუნდების გუშინდელი მატჩი თამამად შეიძლება მივიჩნიოთ მსოფლიო და ევროპული ჩემპიონატის პირველი წრის გვირგვინად. ლიდერთა შეხვედრისადმი ინტერესით გამოწვეულ განცდებზე ერთი ასეთი ფაქტიც მეტყველებს: როგორც კი მასპინძლებმა მეტოქის კარში პირველი შაიბა გაიტანეს, ერთი ახალგაზრდა გულშემატკივარი ყვირილით წამოხტა ზეზე და... იქვე დაეცა. ექიმებმა დადგინეს 20 წლის ჭაბუკის უეცარი სიკვდილი.

შეხვედრა მწვავე, უაღრესად დაძაბული გამოდგა. პირველ პერიოდში აშკარა იყო მასპინძლების უპირატესობა. ისინი წარმატებით ახორციელებდნენ კონტრშეტევებს, რომელთაგან ორმა შედეგი გამოიღო. მე-2 წუთზე მახაჩმა შორიდან უძლიერესი დარტყმით გახსნა ანგარიში. 4 წუთის შემდეგ ჩეხებმა წარმატებით გამოიყენეს რიცხობრივი უპირატესობა (მოედნიდან გაძევებული იყო მიხაილოვი) და ფარდამ ანგარიში ორამდე გაზარდა.

მეორე და, განსაკუთრებით, მესამე პერიოდი სსრ კავშირის ნაკრების უპირატესობით აღინიშნა. 36-ე წუთზე ლუტჩენკომ ბოლოს და ბოლოს მოუნახა გასაღები ჰოლეჩეკის კარს და გაქვითა ერთი შაიბა. მესამე პერიოდში მასპინძლებმა კიდევ ერთხელ და უკანასკნელად მიაღწიეს წარმატებას: კლაპაჩმა გაიტანა ლამაზი გოლი — 3:1.

ამ მომენტიდან მოყოლებული, საბჭოთა ჰოკეისტების უპირატესობა ეჭვს აღარ იწვევდა. მათ ორჯერ შეძლეს ჰოლეჩეკის კარის დალაშქვრა (ბლინოვი, იაკუშევი) და უაღრესად საინტერესო და პრინციპული მატჩი ფრედ დაამთავრეს — 3:3.

ამ დღეს გაიმართა კიდევ ერთი მატჩი. შვეიცის ნაკრებმა უაღრესად მწვავე ბრძოლაში მინიმალური უპირატესობით სძლია ფინეთის გუნდს — 2:1 (1:1, 0:0, 1:0). გამარჯვების შაიბა შვედებმა შეხვედრის ბოლო წუთზე გაიტანეს.

დღეს გფრ-ის ჰოკეისტებმა ანგარიშით 6:3 დაამარცხეს შვეიცარიელები.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 14 აპრილისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ჩეხოსლოვაკია	4	3	1	0	34—6	7
სსრ კავშირი	4	3	1	0	34—7	7
შვეიცია	4	3	0	1	25—6	6
ფინეთი	4	1	0	3	13—20	2
გფრ	5	1	0	4	12—40	2
შვეიცარია	5	1	0	4	10—49	2

სნაიპერები

ჩემპიონატის პირველი წრის მიწურულს ყველაზე შედეგიანად გამოიყურება ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების თავდასხმა. ერთმაც და მეორემაც მეტოქეთა კარში 34-34 შაიბა გაიტანა. ჩეხოსლოვაკიელებს 1 შაიბით ნაკლები აქვთ მიღებული და ამიტომაც სატურნირო ცხრილის უმაღლეს საფეხურზე დგანან.

აი, ვინ როგორი წვლილი შეიტანა თავისი გუნდის წარმატებაში:

ჩეხოსლოვაკია. ნედომანსკი, ირჟი და იაროსლავ ჰოლიკები, ჰაასი — 5-5 შაიბა, შტიასნი — 3, ჰლინკა — 2, მარტინეკი, ტაიცნერი, კოჰტა, ფარდა — 2-2, კლაპაჩი — 1.

სსრ კავშირი: იაკუშევი — 7, მიხაილოვი, ვიკულოვი — 4-4, ხარლამოვი, სოლოდუხინი, მალცევი — 3-3, შადრინი, ბლინოვი, პეტროვი — 2-2, მიშაკოვი, ვასილიევი, ლუტჩენკო, გუსევი — თითო.

აი, როგორ გამოიყურება ჩემპიონატის სნაიპერთა სია (მხედველობაში გვაქვს მხოლოდ გატანილი შაიბების რაოდენობა):

იაკუშევი (სსრ კავშირი) — 7 შაიბა, ნედომანსკი, ირჟი და იაროსლავ ჰოლიკები, ჰაასი (ყველა — ჩეხოსლოვაკია), მონონენი (ფინეთი) — 5-5, მიხაილოვი, ვიკულოვი (ორივე — სსრ კავშირი), პალმკვისტი (შვეცია) — 4-4, ხარლამოვი, სოლოდუხინი, მალცევი (ყველა — სსრ კავშირი), შტიასნი (ჩეხოსლოვაკია), ჰედბერგი (შვეცია) — 3-3.

ამ ცნობებში შეტანილი არ არის გფრ-ისა და შვეიცარიის, აგრეთვე, გუშინდელი მატჩების შედეგები.

ერთი ფეჯიბრეების ავ-კარგი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის პრეზიზე ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეთა ახლახან გამართული რესპუბლიკური პირველობის მსგავსი შეჯიბრება ათეული წლებია არ ჩატარებულა ქუთაისში.

ასპარეზობა მეტად დაძაბული და საინტერესო გამოდგა. შეჯიბრება ჩატარდა არა ტერიტორიული პრინციპით, როგორც წინა წლებში ეწყობოდა, არამედ ბავშვთა ტანვარჯიშულ სკოლებს შორის. სწორედ ამიტომ სარბიელზე გამოვიდა ყველა ორგანიზაცია, სადაც ტანვარჯიშია დანერგილი.

მონაწილენი ორ ჯგუფად იყვნენ დაყოფილი. პირველ ჯგუფში გამოდიოდნენ თბილისის განათლების განყოფილების, დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის, „დინამოს“, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმისა და ცხინვალის ბავშვთა ტანვარჯიშული სკოლების ნაკრები კოლექტივები; მეორე ჯგუფში — „შრომითი რეზერვების“, რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების გუნდები.

სიახლე იყო ისიც, რომ ყოველი ნაკრების შემადგენლობაში უნდა ყოფილიყვნენ უფროსი, საშუალო და უმცროსი ასაკის სპორტსმენები. ასაკობრივ საკითხს ჯგუფების დაკომპლექტებისას სკოლების ხელმძღვანელობამ და მწვრთნელებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ, ვინაიდან ესაა ერთ-ერთი ძირითადი საშუალება შემდგომში ეგრეთ წოდებული „თაობათა ცვლის“ მტკივნეული პროცესის თავიდან აცილებისა.

ძირითადი ბრძოლა თბილისის განათლების განყოფილებისა და საავიაციო ქარხნის კოლექტივებს შორის გაჩაღდა. გაიმარჯვეს ქარხნის ტანმოვარჯიშეებმა. ასპარეზობის დაძაბულობას ისიც მოწმობს, რომ განათლების განყოფილების გოგონათა გუნდი მეტოქეებს სულ 0,013 ქულით ჩამორჩა. შეჯიბრებისთვის ორივე კოლექტივი კარგად იყო მომზადებული.

სამაგიეროდ, ამას ვერ ვიტყვით III და IV ადგილებზე გასულ „დინამოსა“ და ქუთაისის სპორტსკოლის წარმომადგენლებზე, რომლებიც მეორე პრიზიორს 75 და მეტი ქულით ჩამორჩნენ.

შეჯიბრებამ გამოავლინა ახალგაზრდა, ნიჭიერი ტანმოვარჯიშეები. მათ შორის არიან მ. ბახია („დინამო“), ვ. გოლოვინი, ი. ვასილიევა, ო. ფსუნ და რ. სუკასიანი (ყველა — საავიაციო ქარხანა), მ. გუგულაშვილი, ე. ბიჭიკაშვილი, მ. თათარაძე და მ. ჭინჭარაძე (ყველა — თბილისის განათლების განყოფილება), ზ. გოდელაშვილი, შ. გაგუა (ორივე — გორი). ისინი ჯერჯერობით მხოლოდ მეორეთანრიგოსნები არიან, მაგრამ იმედია, მუყაითი შრომის შემდეგ ბევრად უფრო დაოსტატდებიან. სპორტის ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით შეჯიბრებისას კარგი შთაბეჭდილება დატოვეს გ. რაქველიშვილმა, ვ. კვლელიშვილმა (ორივე — განათლების განყოფილება), ა. ცინცაძემ, გ. იმედაშვილმა, კ. ლაშხმა (სამივე — საავიაციო ქარხანა).

გარკვეულ წინსვლასთან ერთად არ შეიძლება არ აღვნიშნოთ საკმაოდ ნნიშვნელოვანი ხარვეზებიც. მაგალითად, სათანადო სიმაღლეზე არ დგას როგორც გოგონათა, ისე ჭაბუკთა სპეციალური ფიზიკური მომზადება. ალბათ ესაა თუნდაც იმის მიზეზი, რომ ჭაბუკები ვერ არიან დაუფლებული რგოლებზე ვარჯიშის თანამედროვე ტექნიკას (გადაბრუნი ხელყირაში გამართული მკლავებით, მაღალი წინგრეხილი, აღმატრიალი გამართული მკლავებით, შლიბჯენი და სხვ.). საჭიროა მწვრთნელებმაც და ტანმოვარჯიშეებმაც შემოქმედებითად გაიაზრონ თანამედროვე ტანვარჯიშის განვითარება, მეტი ყურადღება მიაქციონ ახალი ილეთების გამოგონებას, ორიგინალური ნაერთების ჩამოყალიბებას, აგრეთვე, სწავლების თანამედროვე მეთოდების ფართოდ გამოყენებას.

ამჟამად რესპუბლიკური უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლა (დირექტორი მ. ჯუღელი) დიდ მუშაობას ეწევა მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის. შეჯიბრების პერიოდში ამჯერადაც მოეწყო სემინარი, სადაც უჩვენეს მეტად საინტერესო კინოფირები, წაიკითხეს ლექციები თემაზე: „პროგრამირებული სწავლების მეთოდიკა“. შეჯიბრების დღეებში ჩაიბარეს „ზზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ ახალი კომპლექსთა ჯათვალისწინებული ტანვარჯიშული ნორმატივები.

ახლა კი რამდენიმე სიტყვა ქუთაისელ ტანმოვარჯიშეებზე. ქუთაისში ამ სახეობის ბეკრი სახელოვანი ოსტატი აღიზარდა. დავასახელოთ თუნდაც ა. ალფაიძე, შ. ჩაჩხიანი, ვ. გურსკი, ა. ჩარგეიშვილი და ბევრი სხვა. ამჟამად ქუთაისში მუშაობა ნოდუნდა, ტანმოვარჯიშეთა კლასი საგრძნობლად დაქვეითდა. რა არის მიზეზი? დაეცა მწვრთნელთა მუშაობის დონე, შესუსტდა მონდომება, პასუხისმგებლობის გრძნობა. უნდა გაიზარდოს სკოლების დირექციების პასუხისმგებლობაც. როგორც დადგინდა, მწვრთნელის მიღება ან ცუდი მწვრთნელის სამუშაოდან გათავისუფლება დირექციის უფლებებში არ შედის, რაც სწორად არ მიგვაჩნია.

ტანვარჯიში ძალიან სწრაფი ტემპით ვითარდება, დღითი დღე იზრდება მოთხოვნილებები ნებისმიერი ვარჯიშის სირთულის, ორიგინალობის, სიახლისადმი. ყოველივე ამის მიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ტანმოვარჯიშეებს სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენების სათანადო პირობები შეექმნებათ. აქ იგულისხმება დარბაზში ტანვარჯიშული იარაღების რამდენიმე კომპლექტის დადგმა, რაც გაზრდის მომზადებულთა დატვირთვას, პოროლონის ორმოს, ბატუტისა და სხვა იარაღების, აგრეთვე, ტრენაჟერებისა და კინოფირების გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს რთული, ახალი ილეთებისა და ნაერთების მოკლე ხანში შესწავლას. ამჟამად ქუთაისში ამის საშუალება არ არსებობს.

უფრო მეტიც, ქალაქში სპორტული თამაშების ხუთი დარბაზია, რაც წვრთნის პროცესის ნორმალურად წარმართვის საშუალებას იძლევა. ამავე დროს, ზაფხულის პერიოდში გუნდები ღია მოედანზე ვარჯიშობენ, შენდება სპორტული თამაშების სადემონსტრაციო დარბაზი და, გარდა ამისა, მთელი კომპლექსი, მაგრამ, როგორც გამოირკვა, არც ერთი მათგანი არ არის განკუთვნილი ტანვარჯიშისთვის.

იმედია, რომ სათანადო ორგანიზაციები დროულად მიიღებენ ზომებს ამ გაუგებრობის გამოსასწორებლად.

ო. ქორქია,
საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის მთავარი მწვრთნელი ტანვარჯიშში.

* * *

პრიზიორთა ტექნიკური შედეგები

გუნდური

გოგონები. 1. თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანა — 410,235 ქულა, 2. თბილისის განათლების განყოფილების ტანვარჯიშული სკოლა—410,222, 3. ქუთაისის განათლების განყოფილების ტანვარჯიშული სკოლა — 373,811.

ჭაბუკები. 1. თბილისის განათლების განყოფილების ტანვარჯიშული სკოლა — 586,303, 2. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანა — 580,5, 3. „დინამო“ — 559,461.

საერთო გუნდური პირველობა. I ჯგუფის გუნდები. 1. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანა — 291, 2. თბილისის განათლების განყოფილება — 274, 3. „დინამო“ — 98. **II ჯგუფის გუნდები.** 1. ზუგდიდის სპორტული სკოლა — 76, 2. გორი — 64, 3. ლანჩხუთი — 60.

პირადი

გოგონები. სპორტის ოსტატთა პროგრამით. 1. ვ. ვასილიევა (საავიაციო ქარხანა) — 73,75 ქულა, 2. მ. მონიავა — 73,7, 3. ი. მუჭაშვილი (ორივე — თბილისის განათლების განყოფილება) — 73,65. **ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით.** 1. ი. ვასილიევა (საავიაციო ქარხანა) — 73,55, 2. გ. გუგულაშვილი — 73,2, 3. ე. ბიჭიკაშვილი (ორივე — თბილისის განათლების განყოფილება) — 72,0 ქულა. **პირველთანრიგოსანთა პროგრამით.** 1. ა. ბოკოლიშვილი — 72,85, 2. ვ. ფხაკაძე — 71,0, 3. ი. ბერიშვილი — (სამივე — საავიაციო ქარხანა) — 68,45.

ჭაბუკები. ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით. 1. გ. რაქველიშვილი — 111,65, 2. ვ. კვლელიშვილი (ორივე — თბილისის განათლების განყოფილება) — 110,85, 3. გ. იმედაშვილი (საავიაციო ქარხანა) — 110,5. **პირველთანრიგოსანთა პროგრამით.** 1. გ. ბახია — 109,2, 2. მ. კაკაბაძე — 103,1. 3. ვ. კურტანიძე (სამივე — „დინამო“) — 103,0. **მეორეთანრიგოსანთა პროგრამით.** 1. ვ. გოლოვინი (საავიაციო ქარხანა) — 112,95, 2. მ. თათარაძე — 112,6, 3. მ. ჭინჭარაძე (ორივე — თბილისის განათლების განყოფილება) — 109,45.

* * *

სურათზე: ნ. კანთელაძე თავისუფალი ვარჯიშის დროს.

ჯ. ფხაკაძის ფოტო.

სულ... ორი მოინანილე

ბათუმის ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა პარკში ჩატარდა კროსი „ბრავადის“ პრიზზე. აჭარის პირველობისთვის 9 სპორტსაზოგადოების 118 მეჯლოსანი იბრძოდა.

ვაჟთა შორის 3 კილომეტრზე რბენაში 39 სტაიერმა მოიყარა თავი. სტარტიდანვე დინამოელი მ. ტოშკინოვი დაწინაურდა და პირველობაც დაისაკუთრა — 10.10,0.

გოგონათა შორის 1500 მეტრზე რბენაში, როგორც მოსალოდნელი იყო, აჭარის ჩემპიონის სახელი მოიპოვა საქართველოს ნაკრები გუნდის წევრმა, შ. რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკურზრდის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტმა ვ. გოლობოროდკომ.

იუნიორთა შორის 5 კილომეტრზე ასპარეზობაში ყველას აჯობა დინამოელმა ი. ზაბინინმა (17,55,0), ხოლო 8-კილომეტრიან დისტანციაზე გაიმარჯვა მისმა თანაგუნდელმა ვ. ვოლომკოვმა — 32.55,0.

გოგონათა შორის 1000 მეტრზე რბენაში ფინიშთან პირველი იყო სპარტაკელი მ. თურმანიძე.

2000 მეტრზე მორბენალ ქალთა შეჯიბრებაში მონაწილეობდა... 2 მძლეოსანი. გაიმარჯვა ეოდნიკელმა ლ. არტამონოვამ.

გუნდურ ჩათვლაში აჭარის ჩემპიონის სახელი „დინამოს“ ძლიერმა გუნდმა მოიპოვა. II ადგილზეა „განთიადი“, III — „ვოდნიკი“.

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

ეზოდან ფუნინისული ვედრებში

მინსკი. 8-12 აპრილი. სსრ კავშირის ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში.

წყვილთა სრიალი. 1. ჩერნიაევა — ბლაგოვი (მოსკოვი) — 415,5 ქულა (ადგილების ჯამი — 9), 2. ვორობიოვა — ვლასოვი — 402,6 (20), 3. ბელოუსოვა — პროტოპოპოვი (ორივე წყვილი — ლენინგრადი) — 401,1 (26).

სპორტული ცეკვები. 1. ვოიტიუკი — ეიგალინი — 512,1 (9), 2. ეარკოვა — კარპონოსოვი — 493,3 (20), 3. მოისეევა — მინენკოვი (სამივე წყვილი — მოსკოვი) — 489,8 (25).

ქალთა ერთეულები. 1. ტიტოვა (მოსკოვის ოლქი) — 1879,9 (9), 2. ოლენევა (ლენინგრადი) — 1862,2 (18), 3. კოტოვა (მოსკოვი) — 1839,9 (24). მოსკოველმა მ. სანაიამ V ადგილი დაიკავა — 1829,4 (33).

ვაჟთა ერთეულები. 1. კოვალიოვი (მოსკოვი) — 2039,3 (7), 2. ვოლკოვი (მოსკოვის ოლქი) — 2023,0 (17), 3. ბობრინი (ლენინგრადი) — 2010,4 (18).

აფრიკის სპორტსმენთა დიდი გეგმები

ალჟირი, 14 აპრილი. აფრიკის თამაშები ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ, ოლიმპიური თამაშებიანი ორი წლის შემდეგ ჩატარდება. ასე გადაწყვიტა აფრიკის სპორტის საქმეთა უმაღლესი საბჭოს მეოთხე ასამბლეამ. მართალია, ამ კონტინენტის ქვეყნების მეორე თამაშები, როგორც განზრახული იყო, 1973 წლის იანვარში მოეწყობა ლაგოსში (ნიგერია), მაგრამ მესამე ასეთი ასპარეზობა უკვე 1978 წელს გაიმართება ალჟირის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

აფრიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების მძლეოსანთა საპასუხო მატჩი ამ ზაფხულს ჩატარდება დაკარში (სენეგალი). საბჭოს გენერალურ მდივანს დავალებული აქვს ასევე ამ ზაფხულს მოაწყოს აფრიკის მძლეოსანთა შეხვედრა ევროპის ნაკრებთან.

დელეგატებმა მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც ერთა თანამეგობრობის წევრ ქვეყნებს მოუწოდებენ უარი თქვან თანამეგობრობის X თამაშებში მონაწილეობაზე (ეს შეჯიბრება 1974 წლისთვისაა დაგეგმილი) ახალ ზელანდიაში, თუ ეს ქვეყანა კვლავაც გაგრძელებს სპორტულ თანამშრომლობას სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან, სადაც რასობრივი დისკრიმინაცია მეფობს.

(საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კენჭისყრა შედგა

ყენევაში შოხდა ევროპის 1974 წლის საფეხბურთო პირველობის კენჭისყრა ახალგაზრდული ნაკრები გუნდებისთვის. მისი შედეგები ასეთია:

I ჯგუფი — შვეიცია, ავსტრია, ჩეხოსლოვაკია; II ჯგუფი — იტალია, თურქეთი; III ჯგუფი — ჰოლანდია, ნორვეგია; IV ჯგუფი — რუმინეთი, გდრ, ალბანეთი; V ჯგუფი — პოლონეთი, დანია, გფრ; VI ჯგუფი — ბულგარეთი, პორტუგალია; VII ჯგუფი — იუგოსლავია, საბერძნეთი; VIII ჯგუფი — სსრ კავშირი, საფრანგეთი, ფინეთი.

გათამაშება ჯგუფებში ჩატარდება ორ წრედ და გამარჯვებულები გაგრძელებენ ბრძოლას ჩემპიონობისთვის.

ამჟამად მიმდინარე ევროპული ჩემპიონატის მეოთხედფინალში საბჭოთა გუნდი 29 აპრილს ერევანში მიიღებს გფრის ნაკრებს. ამ კოლექტივთა განმეორებითი შეხვედრა შედგება 13 მაისს.

მეგობრის ხსოვნას

ორმოცდაათიანი წლების უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთ ეს ჩასხმული ვაჟკაცი ფიზკულტურის გაკვეთილებიდან ახსოვთ, სადაც იგი წლების განმავლობაში ემსახურებოდა ახალგაზრდობის გაკაჟების საქმეს.

ჩემთვის კი სულ სხვა იყო შალვა დვალი. შესანიშნავი სპორტსმენი, მებრძოლი, ჯულიასხმიერი და ალერსიანი აღმზრდელი, რომელიც გზიბლავდათ ცეცხლოვანი გამოსვლებით რინგზე. მისი ბედი ყველას აწუხებდა, რადგან თავისი საოქმელი სარბიელზე ბოლომდე ვერ თქვა...

შ. დვალი იმ ქართველ მებრძოლ-სპორტსმენებს მიეკუთვნება, რომელთათვისაც ომს უკვალოდ არ ჩაუვლია.

— ჩვენ, ქართველ მოკრივეებს, ცოტა სხვაგვარად გაგვითენდა ორმოცდაერთის 22 ივნისი, — გაიხსენა ერთხელ შალვამ, როცა მისი სპორტული უიღბლობით შეწუხებულმა მოწაფეებმა ვთხოვეთ ეამბნა როგორ მიიღო ეს საბედისწერო ჭრილობა, რომელიც რინგზე გამოსვლისთანავე დამოკლეს მახვილივით ეკიდა თავზე და ხშირად, სრულიად უსამართლოდ გამარჯვების სასწორს მისი მეტოქისკენ გადახრიდა. — მოსკოვში საკავშირო პირველობა უნდა დაწყებულიყო და მეც მიწევდა დედაქალაქში გამგზავრება. მატარებელში გონების თვალით ვუყურებდი მომავალ მეტოქეებს ვ. სტეპანოვს, ს. კარცევს, ვ. რუდამიოტკინს... მათთან ბრძოლის გეგმებს ვაწყობდი, რომ — „შუშაობს საბჭოთა კავშირის ყველა რადიოსადგური“ — ჩამესმა უეცრად და მაშინვე გამწვავე პუნქტს მივაშურე. სადაც მოუომენლად ვუცდიდი ჩემს რიგს...

ასე დაიწყო მისი ქარცეცხლიანი დღეები. იბრძოდა მოსკოვის მისადგომებთან, მერე პარტიზანთა რაზმში, პოლონეთის მიწაზე.

ომის შემდეგ კვლავ თავის აყვავებულ ადგილს, ბეხიკის ქუჩაზე ომხანად მდებარე კრივის დარბაზს მიაშურა, სადაც მისი მეგობრები საკავშირო პირველობის ორთაბრძოლებისთვის ემზადებოდნენ. ეს ასპარეზობა საქართველოს მოკრივეთა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. შ. გორგასლიძესთან, ა. ნავასარდოვთან, გ. ვართანოვთან, გ. ხანუკაშვილთან, ბ. კალაძესთან, ბ. მელაძესთან და სხვებთან ერთად პირველი ადგილის მოპოვებაში თავისი წვლილი შეიტანა შალვა დვალმაც.

შ. დვალი 1947 წლის პირად საკავშირო ჩემპიონატშიც წარმატებით ჩაება. მეოთხედფინალში მის წინააღმდეგ ა. პიჩუგინი გამოდიოდა. აქ წარმატება საერთო გამარჯვებას ნიშნავდა, ვინაიდან პირველობის მთავარი პრეტენდენტები სწორედ ამ ეტაპზე შეხვდნენ ერთმანეთს. პირველი ორი რაუნდი ქართველი მოკრივის მხარეზე იყო, მაგრამ, როცა გადამწყვეტ, მეთაბე რაუნდში მეტოქეს მარჯვენა მოუქნია, მხრის არეში მწვავე ტკივილი იგრძნო და ძირს დაეშვა... ჭრილობამ გაუხსენა და მხარი ამოუვარდა. გამარჯვება პიჩუგინს მიეკუთვნა — მის მეტოქეს ბრძოლის გაგრძელება არ შეეძლო.

შ. დვალი მაინც არ ჩამოსცილებია სარბიელს. იგი ზედიზედ ორგზის იყო სპორტსაზოგადოება „ნაუკას“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი. მეტის გაკეთება ველარ მოასწრო — ჭრილობა თავს ახსენებდა.

შ. ბიბინაძე.

გ. ნოდიამ, ვ. დოროფეევმა...

სოჩის ცენტრალურ სტადიონზე 12 აპრილს გაიმართა სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ოლიმპიური გუნდების შეხვედრა. იგი მოიგეს საბჭოთა ფეხბურთელებმა — 2:0.

ანგარიში 52-ე წუთზე გახსნა გ. ნოდიამ, ხოლო 71-ე წუთზე მისი ზუსტი თავური გადაცემის შემდეგ დოროფეევმა მეორედ აიძულა მეტოქე ცენტრიდან დაეწყო თამაში.

სსრ კავშირის ნაკრები ასეთი შემადგენლობით გამოვიდა: ოლეინიკი (გონტარი), სეროსტანოვი, პოტოჩნიაკი, პოდლუჟნი, ზვიაგინცევი, სახაროვი, გუცაევი, მირიკოვი, გ. ნოდია, ბურიაკი (კუზნეცოვი), რედინი (დოროფეევი).

აღსანიშნავია თბილისის დინამოელების გ. ნოდიასა და გუცაევის კარგი თამაში.

△ ᲕᲘᲣᲠᲒᲑᲣᲠᲒᲘ (გფრ). იუგოსლავიისა და იტალიის ნაკრებმა გუნდებმა წყალბურთელთა საერთაშორისო შეჯიბრებაში 7-7 ქულა მოაგროვეს. პირველობა ბურთების უკეთესი ბალანსის (34:17) წყალობით იუგოსლავიელებს დარჩათ.

△ ᲙᲝᲠᲔᲜᲰᲐᲒᲔᲜᲘ. „სოლინგის“ კლასის აფრიანი ნაცვლებით აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ყველას აჯობეს მასპინძლებმა ელფსტრიომმა და აორგენსმა. III ადგილზეა ადოლფი (გფრ).

△ ᲛᲔᲚᲑᲣᲠᲜᲘ. ავსტრალიელი მძლეოსნები გაცხოველებით ემზადებიან მიუნჰენის ოლიმპიადისთვის და ეროვნულ ტურნირებში კარგ შედეგებსაც აღწევენ. ამას წინათ 30 წლის გ. ჯონსმა 400 მეტრზე თარჯრბენში ეროვნული რეკორდი (49,4) დაამყარა. 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში მსოფლიო რეკორდსმენი კ. ო'ბრაიენმა 8.30,8 აჩვენა. ლ. პეკჰემმა 219 სმ სიმაღლე დაძლია. ქალთა შეჯიბრებაში ჯ. პოლოკმა 400 მ 52,9 წამში გაირბინა. მ. ბოილმა 100 და 200 მეტრზე შესაბამისად 11,7 და 23,7 წამი აჩვენა. ჰ. ჯილბორნმა გაიმარჯვა 100 მეტრზე თარჯრბენში — 13,4.

△ ᲛᲝᲜᲢᲔᲠᲔᲚᲘ. მექსიკელმა ნ. ორტისმა მესტენდუერეთა აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში მრგვალ სტენდზე ორასივე სამიზნე დაამსხვრია და მსოფლიო რეკორდი გაიმეორა.

△ ᲑᲣᲓᲐᲞᲔᲨᲢᲘ. უნგრეთისა და შვეიცის მოცურაკეთა ამხანაგური მატჩი მასპინძლებმა მოიგეს — 92:82.

△ ᲤᲝᲜᲢᲔᲜᲑᲚᲝ. 34 წლის უნგრელმა ხუთჭიდელმა ა. ბალცომ მოიგო თანამედროვე ხუთჭიდელთა აქ გამართული საერთაშორისო შეჯიბრება. ვეტერანმა 5255 ქულა მოაგროვა.

△ ᲢᲠᲔᲜᲓᲘ. მსოფლიოს უძლიერესი სამთომოთხილამურეების ტურნირში მსოფლიო თასის ორგზის მფლობელმა გ. ტონიმ (იტალია) სპეციალური სლალომი მოიგო. II ადგილზეა მისი ბიძაშვილი რ. ტონი, III — ნ. ოეე (საფრანგეთი).

ᲛᲔᲗᲝᲥᲔᲕᲡᲛᲔᲢᲧᲔᲑᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ

ალბათ გახსოვთ, რომ მიუნჰენის XX ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეტანილია ხელბურთელ ვაჟთა გუნდების ტურნირიც. იასპარეზებს 16 გუნდი. აქამდე ცნობილი იყო ამ შეჯიბრების 15 მონაწილე: რუმინეთი, გდრ, იუგოსლავია, დანია, გფრ, შვეცია, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი (ამ ქვეყნებმა ოლიმპიადაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს საფრანგეთში 1970 წელს გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში ნაჩვენები შედეგებით), სსრ კავშირი, პოლონეთი, ნორვეგია, ისლანდია, ესპანეთი (ამ სახელმწიფოებმა ოლიმპიადის საგზურები მოიპოვეს ახლახან ესპანეთში გამართულ ევროპის ზონის შესარჩევ ტურნირში, რომელშიც 16 გუნდი მონაწილეობდა), აშშ (ამერიკის ზონიდან), იაპონია (აზიის ზონიდან).

აქამდე უცნობი იყო ოლიმპიადის მონაწილე აფრიკის ზონიდან. და აი, ოლიმპიური თამაშების მე-16 მონაწილის ვინაობაც გაირკვა. ესაა ტუნისის ნაკრები, რომელმაც აფრიკის ზონაში გამართულ ტურნირში გაიმარჯვა.

მოვიდა ცნობა იმის შესახებაც, რომ ოლიმპიური ტურნირი თავდაპირველად ოთხ ჯგუფად გაიმართება. რუმინეთის, გდრ-ის, იუგოსლავიისა და დანიის გუნდები თავიდანვე განაწილებული არიან ცალცალკე ჯგუფებში, დანარჩენ 12 მონაწილეს ჯგუფებში ადგილებს მიუჩნევს კენჭისყრა, რომლის მოწყობაც განზრახულია მიუნჰენში 21 აპრილს.

ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲐᲥᲪᲘᲐ-72

● ᲕᲠᲜᲘᲐᲩᲙᲐ-ᲑᲐᲜᲘᲐ, 12 აპრილი. მოშადრაკე ვაჟთა აქ მიმდინარე ზონალურ ტურნირში ჰოლერთან (შვეიცარია) გამარჯვების შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო მალიჰმა (გდრ). V ტურში მან გადადო პარტია ჩეხოსლოვაკიელ პშიბლთან. 5 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: მალიჰი — 3 ქულა (1 გადადებული პარტია), რუკავინა (იუგოსლავია) — 2,5 (2), ბობოცოვი (ბულგარეთი), სმეიკალი (ჩეხოსლოვაკია) — 2,5-2,5 (1), პშიბლი, ადორიანი (ორივე — იუგოსლავია), ჰარტსტონი (ინგლისი)—2-2 (2), ჩოკილტაა (რუმინეთი)—2 (1).

● ᲢᲐᲜᲫᲐᲠᲘ, 12 აპრილი. გუშინ დილით აქ სტარტი აიღო ტრადიციულმა საერთაშორისო მრავალდღიანმა ველოსიპედიანმა „ტურ დე მაროკ-72“-მა. საბჭოთა გუნდი მწვრთნელ ვ. კაპიტონოვის ხელმძღვანელობით ასეთი შემადგენლობით გამოდის: გ. კომნატოვი, ვ. ლიხაჩოვი, ნ. დმიტრუკი, ვ. ბობილევი, ა. სტარკოვი, ბ. შუხოვი, ი. კრავჩენკო. I ეტაპი მოიგო ცნობილმა ჰოლანდიელმა ველოსიპედისტმა ფ. დენ ჰერტოგმა, რომელმაც 159-კილომეტრიანი ტრასა 4 საათში, 13 წუთსა და 59 წამში დაფარა. II ადგილზე გავიდა ფრანგი ე. ვესკლასონი, ხოლო III — ჰოლანდიელი ლ. ვესტირუსი. სტარკოვმა და შუხოვმა შესაბამისად IV და V ადგილები დაიკავეს.

● ᲡᲝᲩᲘ, 13 აპრილი. ტყვიის სროლის ბულგარელ ოსტატთა ღია ტურნირში მინსკელმა ი. ბაკალოვმა ყველას აჯობა პისტოლეტით სწრაფსროლაში — 596 ქულა. სამატჩო პისტოლეტით სროლაში საუკეთესო იყო მოსკოველი გ. კოსინი — 561. მცირეკალიბრიანი შაშხანით შეჯიბრებაში (3×40) გაიმარჯვა ლენინგრადელმა ვ. რასკოვალოვმა — 1155 ქულა.

ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲚᲔᲚᲝᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ

გთხოვთ ოქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადაგუხადოთ ყველა იმ პირსა და ორგანიზაციას, რომლებმაც გაიზიარეს ჩვენი ოჯახის მწუხარება სპორტის ოსტატ თ. სტეფანიას დაღუპვასთან დაკავშირებით.

თ. სტეფანიას ოჯახი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲙᲐᲚᲔᲘᲓᲝᲡᲙᲝᲠᲘ

ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲒᲐᲣᲡᲬᲝᲠᲔᲡ

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲘᲡ ფეხბურთელთა ნაკრების ვარსკვლავი ედუარდო გონსალეს ანდრადე, უფრო ცნობილი ტოსტაოს სახელით, რომელიც 1964 წლიდან „კრუზეიროს“ ღირსებას იცავდა, ამ დღეებში მიჰყიდეს მეორე კლუბს „ვასკო და გამას“. ტოსტაოსთვის 560 ათასი დოლარი გადაიხადეს, რაც სარეკორდო ციფრია ლათინურ ამერიკაში.

რატომ გაყიდეს „კრუზეიროს“ საქმოსნებმა ეს უაღრესად პოპულარული ფეხბურთელი? როგორც აღმოჩნდა, ტოსტაომ მტკიცედ გადაწყვიტა არ განეახლებინა კლუბთან ხელშეკრულება, რომელსაც ივლისში გასდიოდა ვადა. ეგ კი არა, მან განიზრახა საერთოდ დაენებებინა თავი ფეხბურთისთვის, თუ „კრუზეიროს“ ვერ მოშორდებოდა. ტოსტაოს გარკვეული პრეტენზიები ჰქონდა გუნდის ხელმძღვანელობის მიმართ. კლუბის პრეზიდენტი ფელისიო ბრანდი არა მარტო უხეშია, არამედ ცოტა არ იყოს ბნელ საქმეებშეც მიუწვდება ხელი. იგი ძალიან ავიწროებდა თვითონ ტოსტაოსაც და მის თანაგუნდელებსაც.

და აი, შურისგებამაც არ დააყოვნა.

ᲤᲠᲔᲖᲘᲔᲠᲘᲡ ᲛᲐᲜᲔᲕᲠᲔᲑᲘ

ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘᲡ ათასობით ლუტარ ჩემპიონს პროფესიონალ მოკრივეთა შორის ჯო ფრეზიერს ხშირად უსაყვედურებენ, რომ იგი უზარმაზარ პაუზებს აწყობს გამოსვლებს შორის. ახლა ფრეზიერმა გადაწყვიტა „ტახტის მოპოვების შანსი“ მისცეს ახალგაზრდა მეტოქეებს. ცოტა ხნის წინ მან განაცხადა, რომ წლეულს ორ-სამ მატჩს გამართავს მოკრივეებთან, რომლებსაც უკვე უცდიათ ძალა მსოფლიო ჩემპიონთან ბრძოლაში.

მიუხედავად ამისა, საქმეში ჩახედული ხალხი ამტკიცებს, რომ მუჰამედ ალისთან გადატანილი მძიმე მატჩის შემდეგ ფრეზიერს ეშინია სერიოზულ მეტოქესთან შეხვედრისა. აი, რატომ თქვა მან უარი ექსჩემპიონთან ახალი მატჩის გამართვაზე.

მომავალ მეტოქეთა შორის ფრეზიერი არც მენიკოს ოლიმპიურ ჩემპიონს ჯორჯ ფორმენს ასახელებს, რომელიც „რანგთა ტაბელში“ მესამე ნომრად ითვლება. ეს ახალგაზრდა ზანგი სპორტსმენი სამი წელიწადია პროფესიონალებში გადავიდა და უკვე 35 გამარჯვება მოიპოვა, აქედან 32 — ნოკაუტით. მას არც ერთი შეხვედრა არ წაუგია.

ᲛᲐᲠᲐᲗᲝᲜᲘ ᲜᲘᲚᲝᲡᲖᲔ

ᲕᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚ საგაზაფხულო მარათონულ ცურვაში მდინარე ნილოსზე მონაწილეობდნენ 8 ქვეყნის მოყვარულები, აგრეთვე, 28 პროფესიონალი მოცურავე (ეს უკანასკნელნი ამგვარ შეჯიბრებებში ფულადი პრიზებისთვის გამოდიან).

34,5-კილომეტრიანი დისტანცია პირველმა გადალახა ეგვიპტელმა მოყვარულმა მოცურავემ მაგდი მანდურამ. მისი შედეგია 8:14.07. II და III ადგილები დაიკავეს პროფესიონალებმა, ნგვიატელმა ოსამა რაშადმა და სირიელმა მარუნ სალებმა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲝᲢᲔᲝᲜᲘᲡᲠᲝᲑᲘᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲞᲘᲠᲢᲣᲚ ᲑᲣᲤᲔᲢᲘᲡ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ. საქართველოს პირველობა. 15 აპრილი. „ისანი“ სტადიონი. „ისანი (თბილისი)—„ხულორი“ (ვანი). დასაწყისი 12 ს. ასკ-ს სტადიონი. ასკ (თბილისი) — „ოვერია“ (ხაშური). 16 ს. 30 წ. „სინათლის“ სტადიონი. „სინათლე“ (თბილისი)—„ვარკეთილი“ (ვარდაანი). 17 ს. მოზარდთა რესპუბლიკური ჩემპიონატი. 15 აპრილი. „ლოკომოტივის“ ბაზა დიღომში. ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „ავაზა“ (თბილისი). 16 ს. 16 აპრილი. „დინამოს“ ბაზა დიღომში. „დინამო“ (თბილისი)—„კოლხეთი“ (ფოთი). 14 ს. გლდანის სტადიონი. „სპორტინტერნატი“ (თბილისი) — „განთიადი“ (თბილისი). 17 ს.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲞᲘᲠᲢᲣᲚ ᲑᲣᲤᲔᲢᲘᲡ